

**დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოს განცხადება ქართველთა და აფხაზთა კონფლიქტის ზონაში მშვიდობის დაცვის ოპერაციის განხორციელების შესახებ**

წელიწადნახევარზე მეტია, რაც მოუგვარებელია კონფლიქტი აფხაზეთში. იმის მიუხედავად, რომ წლეულს, 4 აპრილს, ხელმოწერილია განცხადება კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ, რომელშიც მხარეებმა ივალდებულეს მკაცრად დაიცვან ცეცხლის შეწყვეტა, არ გამოიყენონ ერთმანეთის წინააღმდეგ ძალა და მისი გამოყენებით დამუქრება, აგრეთვე, ორმხრივი შეთანხმება ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ, ვითარება კონფლიქტის ზონაში კვლავ რთულია. უკვე ამ დოკუმენტების ხელმოწერის შემდეგ იყო შეიარაღებულ შეტაკებათა შემთხვევები. ვითარება აფეთქებადსამიშია, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ფართო მასშტაბიანი საომარი მოქმედება.

ამ ოპერაციის რეალიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს უმწვავესი პრობლემის გადაჭრას – მშობლიურ ადგილებში ათი ათასობით ლტოლვილის უსაფრთხო დაბრუნებას. მაგრამ სამშვიდობო ოპერაციათა განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება დღემდე არ არის მიღებული.

კონფლიქტის ზონაში ვითარება დაუყოვნებლივ მოქმედებას მოითხოვს, სამშვიდობო ძალების შეყვანის გადადება დაუშვებელია.

ადასტურებს რა თავიანთ ერთგულებას ლტოლვილთა პრობლემის რაც შეიძლება მალე გადაჭრისადმი, ადამიანისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის პრინციპისა და აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის უზრუნველყოფისადმი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოები – კოლექტიური უშიშროების შესახებ ხელშეკრულების მონაწილენი – მოუწოდებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს დაუყოვნებლივ მიიღოს გადაწყვეტილება აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციის განხორციელების თაობაზე.

კოლექტიური უშიშროების საბჭო აცხადებს, რომ მზად არის, თუ რაიმე მიზეზით ასეთი გადაწყვეტილება უახლოეს ხანში არ იქნება მიღებული, ხელშეკრულების შინაარსისა და პრინციპების შესაბამისად, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მინაწილე სახელმწიფოთა მშვიდობიანი, უსაფრთხო განვითარება, კონფლიქტის მონაწილე მხარეთა თანხმობით, კონფლიქტის ზონაში შეიყვანოს ხელშეკრულების მონაწილე დაინტერესებულ სახელმწიფოთა ჯარის კონტინგენტებისაგან შემდგარი სამშვიდობო ძალები.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ყველა მონაწილე სახელმწიფოს მოვუწოდებთ მონაწილეობა მიიღონ ქართველთა და აფხაზთა კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო მისიის შესრულებაში.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შემავალ სახელმწიფოთა ძალებით ოპერაციის განხორციელება ამ შემთხვევაში წარმართებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან თანამოქმედების კალაპოტით, მისი წესდების მერვე თავის შესაბამისად, რომელშიც წახალისებულია მშვიდობის დაცვის რეგიონული ორგანიზაციების ძალისხმევა.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის – კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ყველა მოქმედება შეთანხმებული უნდა იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მხარდაჭერის გამოყენებასთან. მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, თუ გაიზრდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით აფხაზეთში უკვე ჩამოსულ საერთაშორისო მეთვალყურეთა რიცხვი, თუ ისინი მჭიდროდ ითანამშრომლებენ სამშვიდობო ძალების სარდლობასთან. ასევე მოვესალმებოდით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მზადყოფნას, თუ მხარს დაუჭერს ასეთ სამშვიდობო ოპერაციას დამატებითი კონტინგენტებით.

**1994 წლის 15 აპრილი**

[\(გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", # 63, 1994 წლის 19 აპრილი\)](#)